I ქვეითი ბრიგადა 25 წლისაა

19 დეკემბერი 2017

საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადა დაარსებიდან 25 წლის იუბილეს აღნიშნავს. საზეიმო ცერემონიალის ფარგლებში გორში ბრიგადის სამწყობრო მოედანზე წვევამდელთა ფიცის დადების ცერემონიალიც გაიმართა. დღეიდან ცხრა თვის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურს 85 ახალი წვევამდელი გაივლის.

I ქვეითი ბრიგადას იუბილე და წვევამდელებს სამხედრო ფიცის დადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და შიდა ქართლის გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ მიულოცეს. თავდაცვის მინისტრმა სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა და ტოტალური თავდაცვის მნიშვნელობასა და I ქვეითი ბრიგადის მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება.

საზეიმო ცერემონიალის დაწყებამდე ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა როლანდ ძნელაძემ თავდაცვის მინისტრს, გენერალური შტაბის უფროსს, აღმოსავლეთ სარდალს და უწყების სხვა ხელმძღვანელ პირებს მიმდინარე წლის ანგარიში წარუდგინა და ქვედანაყოფში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია.

დღესვე ღონისძიების ფარგლებში სამხედრო I ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებით და ცეცხლსასროლი იარაღებით დაჯილდოვდნენ. პირადი შემადგენლობა ბრიგადის სამხედრო მოძღვარმა, მამა გიორგი გაბლიშვილმა დალოცა. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ბრიგადაში არსებული სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა მოეწყო, ასევე გაიმართა სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

ბრიგადის იუბილისადმი მიძღვნილი ცერემონიალი გმირთა მემორიალის გვირგვინის შემკობით დაიწყო. I ქვეითი ბრიგადის იუბილეს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელ პირებთან ერთად შიდა ქართლის გუბერნატორი კახა სამხარაძე, შიდა ქართლის სამხედრო პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი კოტე ანანიაშვილი, შიდა ქართლის საპატრულოს უფროსი პოლკოვნიკი მიხეილ კალაძე, შიდა ქართლის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი, სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები და ქალაქ გორის სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ.

დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში I ქვეითი ბრიგადა უძველესი ქვედანაყოფია და მისი ისტორია 1992 წლის 1 აპრილიდან იწყება. 2016 წლის 19 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის №1085 ბრძანებით, I და V ქვეითი ბრიგადები გაერთიანდა და ბრიგადის დღედ 19 დეკემბერი გამოცხადდა.